

ფრენკის

სამგებანი
110-3
ს. მ. დ.

№5, 2014



რუსუდან კუსაშვილი

აბა, რა იყოს!

რას, რას, რას?

ვის, ვის, ვის?

ტყეს? მინდორს? თუ ეზოში
მონაჯარდე კვიცს?

იქნებ კვიცს რომ თან დასდევს,
იმ კვიცივით ბიჭს?

იქნებ კულულებიანი
გოგოს ცხვირის წკიპს?

წკაპ, წკუპ, წკაპ...

მოდის ციდან ძირს,
პირველს ვის დაეცემა,
წვიმამ რა იცის?!



მხატვარი
კასო ფრანგიშვილი,
9 წლის

ნუნუ კამუკაშვილი

ნანვიმარზე

აი, გამოიდარა,
ტყე იბერტყავს კალთებს,
ზეცა ნაირფერების
ციხარტყელას ანთებს.
ძალა მომატებია
მდინარეში ჩქერებს,
მირბის თამაშ-თამაშით,
როგორ შეახერებ?!
სოკოები იმრობენ
დასველებულ კაბებს,
თან ხალისით ჰევებიან
ასალ-ასალ ამბებს.
მზე ტყეს ისევ უღიმის,
ცას ჟღურტული ავსებს,
ფოთლებს მარჯალიტები
შვენის ნაწვიმარზე.





ნათია ჯანაშია

ქალაქის უკაცოდ

ერთი ხმაურიანი ქალაქის გარეუბანში, შემალლებულ ადგილზე ხის პატარა, ძველისძველი სახლი იდგა. არც არავინ ცხოვრობდა ირგვლივ, არც ქალაქის ხმაური აღწევდა იქამდე, არც მანქანის სავალი გზა იყო ახლოს.

იდგა ხის პატარა, ძველისძველი სახლი და ნაირ-ნაირი ყვავილი ხარობდა მის გარშემო ახასხასებულ ველზე. აქა-იქ ნაძვები ანონიალებულიყვნენ მხრებგაშლილი, ჩასუქებული ჭადრების მეზობლად. ხეებზე მრავლად იყო ნიბლიების კობტა ბუდეები. ნერილ ტოტებზე კი ხშირად შეამჩნევდით ცალი ფეხით თუ ნისკარტით ოსტატურად დაკიდებულ ჯამბაზ ჩიტუნებს, – მხიარულ და მოუსვენარ წინკანებს. ხანაც ხეებზე თავალმა თუ თავექვე მოსიარულე მარჯვე მაფხაჭუნებისთვის შეიძლება მოგეკრათ თვალი. სახლიდან ცოტა მოშორებით, ჯაგებში კი პანანინა ლობემძვრალეები და გულნიტელები ბინადრობდნენ. ზამთარ-ზაფხულ ატკობდნენ ჩიტები იქაურობას თავიანთი საოცარი ხმებით.

არ იკითხავთ იმ პატარა სახლში თუ ცხოვრობდა ვინმე?

ცხოვრობდა, როგორ არა, – ერთი გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი, ჭადარანვერიანი კაცი. იგი ყოველდღე მზის ამოსვლამდე დგებოდა, საძინებელი ოთახის ფანჯარას ჭრიალით გამოაღებდა და სულგანაბული უგდებდა ყურს ჩიტების დამატკობელ ხმებს. მზე რომ ამოინვერებოდა, კაცი აიღებდა კალამს, შეყვითლებულ ფურცლებს და წერას იწყებდა. ხშირად თავის პატარა მაგიდასა და სკამს გარეთ გამოიტანდა. ხან სახლთან ახლოს მოწკრიალე თავანკარა წყაროსთან ჩაიტანდა, ხან შუაგულ მზეზე დადგამდა, ხანაც მხრებგაშლილ ჭადრებს შეეჩრდილებოდა და წერდა... წერდა მშვიდად, აუღელვებლად და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

კეთილი იყო კაცი, ძალიან კეთილი.

როცა ხმაურიანი ქალაქის გარეუბანში ქარი ამოვარდებოდა, სახლს ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდა, მინები ზრიალებდა და ღრიჭოებიდან ოთახებში სისინით შემოდოდა შეციებული ჰაერი. თავსხმა წვიმისას კი სახლშიც წკაპუნებდნენ წვეთები, წურწურით მოჰყვებოდნენ კედლებს და უცნაურ სურნელს ატრიალებდნენ ირგვლივ. მშვიდად იყო კაცი ამ დროს. თავისი ნაწერები მშრალ კუთხეში მიდგმული მუხის დიდი, ძველი საწერი მაგიდის ხავერდოვან უჯრებში საიმედოდ დაცული ეგულებოდა.

წვიმის შემდეგ, როცა გამოიდარებდა და მზე სისველისგან შეციებულ სახლს ფერებას დაუნყებ-





და, კაცს ესმოდა, როგორ შრებოდა შიშინით ხის ძველი სახლი და ხედავდა, როგორ ასდიოდა მას თხელი, ნისლისფერი ორთქლი. შიშინი რომ მიჩუმდებოდა, კაცი მუხის მაგიდის ხან ერთ უჯრას გამოაღებდა, ხან მეორეს და უჯრებში გამოხუთულ ქალაქებს მზეს თბილ ხელისგულებზე უსვამდა. ეცინებოდა მზეს. იცინოდა კაციც და სიცილისას თვალები უციმციმებდა. კეთილი იყო, ძალიან კეთილი. ყველაფერი უყვარდა. წვიმის დროს სახლში შემოცურებული წვეთებიც, ღრიჭობში შემოპარული ცივი ქარიც, ის საოცარი ორთქლიც, წვიმით გაჟღენთილ სახლს

რომ ასდიოდა მზეზე. უყვარდა აყვავებული ველი, ჩიტებით დასახლებული ხეები, ყვავილებთან მოფუსფუსე პეპლები, ღამით, დამალობანას თამაშით გართული ციციანთელები. წყაროს ხმაც უყვარდა, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ცქერაც, ვარსკვლავების თვლაც... თუმცა, ყველაზე მეტად ბავშვები უყვარდა კაცს და ყველაფერს ბავშვებისთვის წერდა.

ერთ საღამოს, როცა კეთილი კაცი მოწყურებულ ყვავილებს წყაროდან უზიდავდა წყალს, უცნაური ხმები შემოესმა. ეს მანამდე გაგონილ არცერთ ხმას არ ჰგავდა. ვერც ის გაეგო, საიდან მოდიოდა ზუსტად.

გაოცებული იდგა წყლით სავსე სათლებით ხელში და სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს იდუმალ ხმებს.

- უჯრები დაგვიპატარავდა!
- ხავერდმა დაგვშუშა!
- სიბნელის გვეშინია!
- მზის სხივები ველარ გვათბობენ!
- სად არიან ბავშვების თვალები?
- პატარების თვალები გვაპოვნინეთ!

ხმები ძველისძველი სახლიდან მოდიოდა. უჯრებში გამოკეტილი, კეთილი კაცის დაწერილი ლექსები ლაპარაკობდნენ.

კაცს ყველა სასწაულის სჯეროდა ამქვეყნად და მისთვის არაფერი იყო დაუჯერებელი იმაში, ლექსებმა რომ ლაპარაკი შეძლეს. ახლა მას უნდა მოეკრიბა მთელი ძალა და ყველა ლექსი, ბავშვების თვალები რომ ასე ენატრებოდათ, ათასჯერ მაინც გადაეწერა. არა, უფრო მეტჯერ... ბევრად უფრო მეტჯერ... და პატარებისთვის დაერიგებინა.

ნეტავ აქამდე რატომ არ იზრუნა ამაზე?

თუმცა, ეჰ, რამდენჯერ უფიქრია, მაგრამ საამისოდ დრო არასდროს რჩებოდა. იგი ხომ მუდამ, მზის ამოსვლის ცქერისას, ვარსკვლავების თვლისას, ჩიტების სიმღერის მოსმენისას თუ ყვავილების დარწყულებისას ბავშვებზე ფიქრობდა. ცდილობდა, თითოეულის გულისნადებს ჩანვდომოდა, გაეგო, რა უყვარდათ ყველაზე მეტად, უფრო ხშირად რაზე ფიქრობდნენ, რა ადარდებდათ, რა ენატრებოდათ, რაზე ოცნებობდნენ ან რა ესიზმრებოდათ... მერე კი... მერე ლექსები უნდა დაეწერა მათთვის. რაზე? ყველაფერზე, რაც აღელვებდათ პატარებს, რაც საყვარელი, საოცნებო და ძვირფასი იყო მათთვის.

ახლა კი, როცა ბავშვების თვალებს მონატრებული ლექსები ასე წუხდნენ და შფოთავდნენ, სხვა გზა აღარ იყო, კაცს დღე და ღამე უნდა გაესწორებინა ლექსების გადანერაში. ზოგიერთი ლექსი



მხოლოდ ერთი ბავშვისთვის იყო დაწერილი, ზოგი კი ასობით თუ ათასობით ბავშვს ერთნაირად ეკუთვნოდა. პატარებს ხომ უამრავი საერთო საფიქრალი და საოცნებო ჰქონდათ.

ფიქრობდა, როგორ მოერეოდა ამხელა საქმეს, ქვეყნად რამდენი პატარა ცხოვრობდა. იქნებ სჯობდა ხალხისთვის დახმარება ეთხოვა. ის დამე წერილების წერაში გაათენა კაცმა... არც ჩიტებს მოუხუჭავთ თვალი, მათ ნისკარტებით მიჰქონდათ ხმაურიან ქალაქში ქალაქის თითისტოლა გრაგნილები და ღიად დარჩენილ ყველა სარკმელთან ტოვებდნენ.

კაცს იმედი ჰქონდა, რომ ლექსების გადწერაში ყველა დაეხმარებოდა, ვისაც პატარები უყვარდა, ვისაც მათი სიხარული გაახარებდა, ვისაც უჯრებში გამოკეტილი, ბავშვების მომლოდინე ლექსები შეეცოდებოდა.

გადიოდა დღეები. კეთილი კაცი თავაუღებლად იჯდა, წერდა და ლექსებს ანუგეშებდა. დამხმარე კი არსაიდან ჩანდა. წუხდა კაცი, წუხდა და დღითი დღე ძალა ელეოდა.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, ხმაურიანი ქალაქის გარეუბანში, ძველისძველი, პატარა ხის სახლის ახლო-მახლო ჩიტების ხმას თუ კარგად დაუგდებდით ყურს, მიხვდებოდით, რომ ისინი უწინდებურად ხალისიანად კი არ გალობდნენ, სევდიან სიმღერას მღეროდნენ კეთილ კაცზე, რომელიც იმ დღით, ბავშვებზე ფიქრითა და ლექსების ბედით შეწუხებული, წელში ადრინდელზე უფრო მეტად მოხრილი და ძალაგამოლეული, ქარად იქცა.

იმავე საღამოს, ძველისძველი სახლიდან ქარმა ყველა ლექსი ააფრიალა და მიმოფანტა.

ერთხელ, იმ ხმაურიან ქალაქში ხეტილისას, ბავშვებით სავსე ულამაზესი ბაღის განაპირას ერთი უცნაური ხე შევნიშნე. დაბალი იყო, ტოტებშირი და განიერი. არც ფოთლები ესხა, არც ყვავილები, არც რაიმე ნაყოფი. უცნაური სწორედ ის იყო, რომ ხეს ხელისგულისოდენა ქალაქის ულამაზესი ყვავილები გამოსხმოდა.



იმ ქალაქში ყველა ბავშვს სწორედ ასეთი ყვავილი ჰქონდა თმაში გაჩრილი, ან გულთან მიმაგრებული.

პატარებით გარშემორტყმულ უცნაურ ხეს მივუახლოვდი, ერთი ყვავილი მეც მოვწყვიტე, ფრთხილად გავშალე და... იცით რა ეწერა მასზე? საოცრად ლამაზი ლექსი ჩემს ძაღლზე, რომელიც ბავშვობაში მყავდა და ძალიან მიყვარდა.


და უცებ დავინახე, რომ სწორედ იმ ადგილას, საიდანაც ყვავილი მოვწყვიტე, პანანინა კვირტმა დაიწყო ამობურცვა, ნელ-ნელა გაიბერა, გადასკდა და იქიდან ქალაქის ყვავილი ამოიფურჩქნა.

თქვენს ქალაქშიც იქნება ასეთი ხე, თუკი ჯერ არ გინახავთ, მოძებნეთ და აუცილებლად იპოვით. მოწყვიტეთ ქალაქის ყვავილი, გაშალეთ, ნაიკითხეთ და თუკი ამ დროს თბილი სიო სახეზე ნაზად მოგელამუნებათ, იცოდეთ, რომ ეს ქარად ქცეული კეთილი კაცია, თქვენ რომ ასე ძალიან უყვარხართ.





იაკობი, 4 წლის



ქეთი, 3 წლის

„დილა“ მშვიდობისა, საქართველო!

ჩვენი საყვარელი ჟურნალის საშუალებით, გვინდა მოგესალმოთ საფრანგეთიდან!

ჩვენ ვცხოვრობთ ქალაქ პუატიეში (Poitiers). უცხო გარემოში საქართველოს გამუდმებულმა ძებნამ გადაგვანყვეტინა, დაგვეფუძნებინა ქართული ასოციაცია „ივერია“, რომელსაც კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულება ექნებოდა. ასოციაციას სათავეში ჩაუდგნენ ქლბატონები : ჟენია მახარაშვილი-წივილაძე და ხათუნა შათირიშვილი. ასოციაცია დაარსდა 2013 წლის 18 მაისს. მისი მთავარი დანიშნულებაა საფრანგეთში ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაცია და აქ მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის იმის შეხსენება, თუ „ვისი გორისანი ვართ“.

ასოციაციას აქვს საკვირაო სკოლა, სადაც 25 ქართველი ბავშვი გაბრწყინებული თვალებით გაკვეთილს „მამაო ჩვენოთი“ იწყებს და საქართველოს ჰიმნით აგრძელებს. ბავშვების უმრავლესობა საფრანგეთშია დაბადებული, მათ ჯერ თვალთაც არ უნახავთ საქართველო, ამიტომ ქართული ენისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი ჯილდა არქანია ცდილობს, თითოეულ მათგანს ხშირად უთხრას: „გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, ფესვებიდან. შენი ფესვები კი იქარის, საქართველოში!“ სკოლაში ბავშვები თამუნა სიჭინავას ხელმძღვანელობით სწავლობენ ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებასა და რელიგიას.

მინდა დიდი სიამაყით გითხრათ, რომ ქალაქ პუატიეში ასოციაცია „ივერიასთან“ ქართული ცეკვის ანსამბლი „ივერია“ არსებობს. ანსამბლში 30 ბავშვია გაერთიანებული. მათ კვირაში ორჯერ უტარდებათ ცეკვის გაკვეთილი. ხელმძღვანელის, მანუჩარ ძიგუას შრომის შედეგად მივალნიეთ იმას, რომ ბავშვებში ქართულმა გენმა, ქართულმა სულმა გაიღვიძა, მათ ქართული ცნობიერება დაუბრუნდათ. ახლა ანსამბლში ქალაქში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი ბავშვი დადის. არიან ბავშვები, რომლებიც სხვა ქალაქებიდან ჩამოდიან. წარმოიდგინეთ, 1 საათის გზას გადიან, რომ ცეკვის გაკვეთილზე მოვიდნენ.

ასოციაციამ ჩვენი ქალაქის ბევრ კულტურულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ამ შორეულ ქვეყანაში ბავშვები საოცარი მომხიბვლელით წარმოაჩინენ ქართულ ცეკვას, ქართველი მშობლები ცრემლმორეულები შეეყურებთ ქართულ ტრადიციულ სამოსელში მორთულ ულამაზეს გოგო-ბიჭებს. ფრანგი მაყურებელი კი აღტაცებული ეცნობა ქართულ კულტურას.

ამასთან ერთად, ვცდილობთ, ინტერნეტის საშუალებითაც გავავრცელოთ ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ, რისთვისაც შექმნილი გვაქვს ინტერნეტ-საიტი : <http://www.agpiveria.sitew.fr> . საინფორმაციო ტექნიკურ და ლოჯისტიკურ მხარეს წარმატებით უძღვება ბატონი ზურაბ მჭედლიშვილი (მეშე).

ბედნიერები ვართ იმით, რომ ქართველები ერთ მუშტად შევიკარით და ერთად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ „მამული, ენა და სარწმუნოება“.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი შვილები საქართველოში ძალიან მალე ქართველებად დაბრუნდებიან!

პატივისცემით, ასოციაცია „ივერია“





ღვი ბადა საფიანგეთში ვის წმინ
 მე ვიყენებ ვნახი
 საქართველო. მე მიყვარს
 თბილისი. მიწა ვნახი
 ქართველი ვახსენებ.
 ეტენე მახაძევი.



მე ვარ გიორგი ქობინაძევი 12 წლის, ქართველი
 ვცხოვრობ საფრანგეთში, ძალიან მენატრება ჩემი სამშობლო.
 ერთი სული მქვს როგორ ჩავუბრუნდეთ და ვნახე ჩემი საყვარელი
 ჯდაბინები. ვცდილობ ვისწავლო ძალიან კარგად, რომ ვასახლო
 ჩემი ქვეყანა!

Jaime Georgia

შანი 11 ასობა
 (სა მინხვს)
 საქართველომ ძვირად ხა შინს, მუხან
 მინც მიყვანს.
 შინამ ხონჯა, რა რაჟი 25.04.2002,
 სპანგეთში, სლონკაჟი ყანასინა 2004-
 2011 წლებში, სერბეთში სლონკაჟი 2011 წლებში
 ხონჯი.



ჩემთვის საქართველო ყველაზე ძვირად მთხოვს
 რომ იქ ვიყოფი დედი ვისწავლო ვნა.
 ჩემი პირველი მეგობარები და მისწავლოვნი
 დავიწყებ საქართველოში. საუბარს დედი
 დედი ვუხატობ საქართველოში ეს იმის
 არ ხი მინახს რომ ჩემი საქართველო
 ძვირად მყვ. მე მიყვარს ქალბი ვიყოფი
 ვამთხოვო რომ ჩემი საქართველოს
 ვამოვადვე. Je t'aime la GEORGIE
 და ნივბაძე 12 წლის.



ჩემთვის საქართველო ყველაზე ძვირად
 მთხოვს რა ხა მყვ მწ სტუბა.
 ჩემი დედი 2000 წლი შინს.
 2000 წლი შინ ვყოფი ვახ სტუბა
 თვითონ რა ძვირად მინც მწ სტუბა.
 ეტენე ვინც სტუბა.




სანა ძვირად. 7/02/14
 რა არის ჩემთვის საქართველო?
 საქართველო არის ჩემი დედი.
 მე სწავლობდი რომ ვცხოვრობდი იმას
 არ ნახე რომ მე საქართველო
 მინახე. მე რომ ვაგინებ საქართველოში
 ვცხოვრობ და საქართველო ცოლი მიყვარებ.
 ჩემი დედი საქართველოს რაგინს
 ნახე მინახე ვინც მინახე ვცხოვრობდი
 მინახე ავხატე ვინც ვინ. ავხატე
 არასოდეს არ ვყოფი ვინც.
 საქართველოში ვაგინებ ვაგინებ
 ვნახი.
 მე საქართველო.
 სანა ძვირად რა რაჟი 25.08.1999 წლებში
 სერბეთში სლონკაჟი 2010 წლებში

რა არის ჩემთვის საქართველო?
 მე მქვას სანა, მე ვარ ქართველი მინახე
 ძალიან ხა მინახე და მინახე. მინახე საქართველო
 თვითონ რა ვინც მინახე ვინც ვინც ვინც
 სანა
 არიან რა რაჟი 05.05.2003
 სერბეთში სლონკაჟი 2010 წლებში



ვანო გულუბრი

მეფრევენი





შ
რ
ე
მ
ნ
ი

თკეანის

დიდ ტალღებში
დაცურავენ ვეშაპები.

თკეანე არის მათი
საბანიც და ქვეშაგებიც.

რამ ხედავენ, სხვა თევზები თვალებს

უკვირთ, თავზე რთვლრ ადგათ

მ
თ
რ
უ
ხ
რ
უ
ხ
ე

შ
ა
ღ
რ
ე
მ
ნ
ე
ბ
ი

ურუმრად
ადეუნებუნ,





თავსატვისი „ძაღვების გამოფენა“

თბილისში გაიმართა ძაღვების გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კინოლოგებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. გიომ, ნიკამ და დუტამ დიდ წარმატებას მიაღწიეს ნაგაზის, ლაბრადორისა და ჰასკის ჯიშის ძაღვების განვრთნაში. ისინი სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ: ერთი – ბათუმში, მეორე – გორში, მესამე კი რუსთავის მკვიდრია.

ეცადე გაარკვიო, ვინ რომელ ქალაქში ცხოვრობს და რომელი ჯიშის ძაღლს წვრთნის, თუ ცნობილია, რომ:

1. გორელი წვრთნის ლაბრადორს.
2. ბათუმელი არ წვრთნის ჰასკის.
3. ნიკას არ ჰყავს ნაგაზი.
4. გიო არ ცხოვრობს ბათუმში.
5. ნიკა არ ცხოვრობს რუსთავში.



ნაგაზი	ლაბრა-დორი	ჰასკი		ბათუმი	გორი	რუსთავი
			გიო			
			ნიკა			
			დუტა			

ბობას ბურთი

ბურთი ანტა,
ბურთი დანტა,
გოგას თავზე ვადაანტა,
ემება და ვერ იზოვა,
ვერც ეზოში,
ველარც სასლთან.
მხრებს იჩეჩავს გაკვირვებით,
ონავარი დარჩა სასტად.


ზურაბ მამულაშვილი

როგორც დედის უბეში,
ისე ჩიტის ბუდეში,
ჩვენს პატარებს სულ უნდათ
მშობლებისგან ნუგეში,
რომ არა თქვან, ცხოვრება
ყოფილათ უსეში.




პროსპერა

1. გარეული მტრედი;
2. არწივის შვილი;
3. მოზრდილი ფრინველი, ბინადრობს კავკასიისა და შუა აზიის ალპურ ველებზე;
4. ფრინველი, რომელიც კვერცხებს სხვის ბუდეში დებს;
5. ყველაზე შავი ფრინველი;
6. მესამე პერსონაჟი ცნობილი იგავ-არაკისა: „ქორი, იხვი და“ ;
7. დეზებიანი შინაური ფრინველი;
8. ტყის გრძელნიკარტა ფრინველი.



ფსიქოლოგი გვიჩვენებს



საქართველოში დამკვიდრებული სტერეოტიპია: თუ მამამ, პაპამ ან სხვა ოჯახის წევრმა გვიან დაიწყო სიარული ან მეტყველება და ბავშვიც მისი ასაკის შესაბამისად ვერ ვითარდება, მაშინ საშიში არაფერია. მშობლები 2-3 წლამდე ელოდებიან, როდის დადგება პატარა ფეხზე, როდის გაივლის ან როდის იტყვის პირველ სიტყვებს. იგივე მიდგომაა სოციალურ უნარებთან დაკავშირებით, თუ ბავშვი არ ეკონტაქტება ადამიანებს, ურჩევნია მარტო თამაში და არ გამოხატავს ინტერესს გარე სამყაროს მიმართ, გარშემომყოფები ამას მშობლის ჩაკეტილ ხასიათს უკავშირებენ ან სხვა ინტროვერტ ოჯახის წევრთან მსგავსებით ხსნიან.

გაითვალისწინეთ, რომ სწორედ ის ბავშვები, რომელთა მშობლებსაც ჰქონდათ გარკვეული სირთულეები განვითარებისას, წარმოადგენენ რისკ-ჯგუფს განვითარების დარღვევების ჩამოყალიბებისთვის და ვერავინ იქნება წინასწარ დარწმუნებული, რომ ისინი, ისევე მარტივად დაძლევენ ამ სირთულეებს, როგორც ეს მათმა მშობლებმა შეძლეს. ამიტომ გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ყოველთვის ჯობს მიმართოთ სპეციალისტს. ნებისმიერი პრობლემისას დროული ჩარევა უკეთესი გამოსავლის საწინდარია.

მშობლებს ხშირად უჩნდებათ განვითარების დროით ჩარჩოებთან დაკავშირებული შეკითხვები. ნებისმიერი პედიატრი, ნევროპათოლოგი და, რა თქმა უნდა, ნეიროფსიქოლოგი, რომელსაც თქვენ მიმართავთ, დაინტერესდება შემდეგი საკითხებით:

- 1) როდის დაჯდა ბავშვი?
- 2) როდის გაიარა მან?
- 3) როდის თქვა ცალკეული სიტყვები?
- 4) როდის დაიწყო ორსიტყვიანი წინადადებებით მეტყველება?

ეს შეკითხვები ადრეული ფსიქო-მოტორული განვითარების ძირითად და უმნიშვნელოვანეს ასპექტებს ასახავს, ამიტომ ყოველთვის ჯობს, გააკეთოთ დღიური, სადაც თქვენი პატარას ცხოვრების ასეთ მნიშვნელოვან მომენტებს ჩაინიშნავთ. დღიური თქვენთვის სიხარულისა და ტბილი მოგონებების წყარო იქნება, ხოლო ექიმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი.


თუ თქვენი პატარა 9 თვემდე ვერ ჯდება ანუ აჯენთ ბავშვს, მაგრამ მას არ შეუძლია პოზის შეკავება, მაშინ განგაშის მიზეზი ნამდვილად გაქვთ: ჯობს, სპეციალისტს მიმართოთ, რადგან ბავშვების უმრავლესობა 6-8 თვის ასაკისთვის უკვე ზის.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოტორული (ანუ მოძრაობის) ფუნქციების განვითარებაში სიარულია. ასაკობრივი ნორმები სიარულის დასაწყებად 9-14 თვის ასაკს შეესაბამება. თუ ბავშვი 14 თვის არის და მას არ აქვს დამოუკიდებლად სიარულის მცდელობა მაინც, მაშინ კვლავაც ჯობს, ნევროპათოლოგს მიმართოთ.

მოტორული ფუნქციების გარდა, ადრეულ ასაკში სპეციალისტების ყურადღებას იმსახურებს მეტყველებისა და აზროვნების უნარების განვითარება. 1 წლისთვის თქვენი პატარა უკვე უნდა ამბობდეს ცალკეულ სიტყვებს. შესაძლებელია დამახინჯებული, მაგრამ რამდენიმე სიტყვა უნდა მოიძებნებოდეს მის ლექსიკურ მარაგში. 19-დან 24 თვემდე კი ბავშვები უკვე ორსიტყვიანი მარტივი წინადადებებით მეტყველებას იწყებენ.

დღეს ფართო საზოგადოების ყურადღებას არცთუ იშვიათად იპყრობს აუტიზმი და აუტისტური სპექტრის დარღვევები. ამიტომ, გარდა მოტორული და მეტყველების სფეროებისა, ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია პიროვნული და სოციალური უნარების მომწიფება. ადრეულ ასაკში სოციალური უნარების ნორმალური განვითარების მაჩვენებლებია თვალებით კონტაქტი, სახის ძიება, უფროსების ქცევის მიბაძვა, თანატოლებისადმი ინტერესის გამოხატვა და ემოციების ადეკვატური აღქმა-გაზიარება.


ბავშვის ადრეული განვითარება მისი მომავალი ცხოვრების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. თუ თქვენი პატარა დროულად ვითარდება და თუ მის განვითარებას გარემო-პირობები უწყობს ხელს, მაშინ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ - მისი მომავალი ნაწილობრივ მაინც არის უზრუნველყოფილი.



კონკურსი!

ახალი სახელები
საბავშვო მწერლობაში

იოსებ ციციშვილი



მუჭა-მუჭა

სუთი თითი – გაშლილი,
სუთი თითი – მუჭა!
ბავშვებს იხმობს თავისთან,
ბიჭი თმანუჭუჭა!

ლოუები აქვს წითელი
ბაღს ჭამს მუჭა-მუჭა,
– ვითამაშოთ ბავშვებო! –
მოდით, დამლანუჭა!

გათვალეს ხაღისით
დარჩა თმანუჭუჭა,
დაიმალნენ, ძებნას კი
ბოლო აღარ უჩანს.

ვერ მიავნო ვერავის
ცრემლს ღვრის მუჭა-მუჭა,
ტირილი თუ უნდოდა,
რალად დაიხუჭა?!

ნაუინი

მხატვარი მალხაზ კუსაშვილი

მარწევითა და ალუბლით,
ვაფლისა თუ ვანილის,
დავანარსე ფანკლები
შოკოლადის ნაყინის!

როცა ნაყინს მივირთმევ
ისმის ბებოს ჩივილი,
შეგაწუსებს უთუოდ,
მერე ეელის ტკივილი!

ვანუგეშებ ბებიას,
წამალი არ მჭირდება,
მორიგება ნაყინთან
სულ არ გამიჭირდება!

ჩემს თავს გამოვუწერე
სამკურნალო მალამო,
შოკოლადის ნაყინი,
„თოლია“ და „ბარამბო“!



როცა დიდი ვიქნები
აღბათ ასეც იქნება,
აფთიაქში ნაყინი
წამლად გაიყიდება!



12	1	12
1	52	1
12	1	12

	56	

	60	

	64	

ჩანერე ცარიელ უჯრებში რიცხვები ისე, რომ გალიის თითოეული კედლის გასწვრივ (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) მათი ჯამი 25-ის ტოლი იყოს. საერთო ჯამი მითითებულია გალიის ცენტრში. თავსატეხის ამოხსნა რომ გაგიადვილდეს, შეხედე ნიმუშს.



მუვიდობაში

მოხუცი ვარ, მაგრამ ოდესღაც მეც ხომ ვიყავი პატარა?! მაშინ ბევრი მეგობარი მყავდა – ბიჭებიცა და გოგონებიც. ყველა მიყვარდა და ყველას ვუყვარდი. გამორჩეულად მაინც ოქროსფერნაწვეებიან და ცისფერთვალა ბაბულიასთან ვმეგობრობდი. ერთ მერხზე ვისხედით, ერთად ვთამაშობდით, ყველგან ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით.

ლამაზია ჩვენი სოფელი, გარშემორტყმული გორაკებით, მთებით. შორს, ძალიან შორს, თითქოს ნისლში კიდიო, აზეულებს ციხე მოჩანს, შუაგულ სოფელში კი, აღმართის თავში, ხასხასა მწვანე ბალახით დაფარულ გორაკზე პატარა უგუმბათო უძოს ეკელესია დგას ეზოში ამოკობტავებული ოლეთი. ვერაფრით გამეგო, როგორ შეიძლებოდა, ხე ასეთი ჭრელი ყოფილიყო. რომ ვიკითხე, ამიხსნეს: ეს ნატვრის ხეა; ადამიანები მის ტოტებზე ფერად-ფერად, წვრილ-წვრილ ნაჭრებს გამონასკვავენ ხოლმე და ოცნების ახდენას ჩაუთქვამენო.

მწვანეში ჩაფლულ სოფელს დაბლიდან ნაძვნარი არტყამს, მალლიდან – ხშირი, ფოთლოვანი ტყე. ტყეში ათასგვარი სასუსნავია, რა გინდა, სულო და გულო – ნიგოზი, თხილი, წაბლი, ზღმარტლი, კუნელა, მოცხარი. აი, ზამთარში კი დიდი თოვლი იცის ჩვენმა სოფელმა – თოვლისგან იზნიქება ნაძვნარი. მერე კი, შეთხელდება თუ არა თოვლი, ბუჩქებისა და ხეების ძირში ამოყელყელავდებიან ენძელები, ყოჩივარდები, ატმისსუნა ფურისულები და ერთ მშვენიერ დილას ლურჯთვალა ია, თავის ფოთლებზე თავმიდებული, ამოგვხედავს.



მხატვარი
ნათია ბაბურიშვილი



ეს ყოველივე ბუნების მადლია, სიხარულის მომგვრელი, სანუხარი კი... ჰო, ჩვენს სოფელს სანუხარიც აქვს: სწორედ აქ აუგიათ უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისთვის თავშესაფარი, ობოლ ბავშვთა სახლი. ჩვენ უდარდელად ვიზრდებოდით, დედ-მამის, ნათესავების სიყვარულით გარემოცული, იმათ კი, ვინ იცის, რამდენი რამ აკლდათ – საჭმელი, ალერსი, სითბო; როგორც ვახერხებდით, ისე ვეხმარებოდით ჩვენს ობოლ მეგობრებს, ლუკმას, სითბოს ვუნანილებდით.

ერთ დღესაც სოფელში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა – სკოლისა და უდედმამო ბავშვთა სახლის ახალი დირექტორიაო, უფროსებმა გვითხრეს. იმან მასწავლებლები შეკრიბა, თან ექიმი – ძია გიორგი და პროვიზორი – მამაჩემიც მიიპატიჟა. მე რა ვიცი, რა ილაპარაკეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ჩვენს სახლს, რომლის ქვემოთაც აფთიაქი იყო განთავსებული, საბარგო მანქანა მოადგა. ძარაზე დიიდი, უზარმაზარი ფუთა იდო. სად იყო და სად არა, დირექტორი, ძია გიორგი და მამაჩემი გამოჩნდნენ, მანქანასთან მივიდნენ. იქიდან ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა; მისი მოკლედ შეჭრილი თმა და ტყავის ქურთუკი ჩამრჩა მეხსიერებაში. პაპიროსს აბოლებდა. აფთიაქში შევიდნენ. რამდენიმე ჩვენი სოფლელი მამაკაცი კი დიდ ფუთას დაეჭიდა, ძლივს გადმოაცურეს ძრავიდან და აფთიაქში ხვნემა-ხვნეშით შეიტანეს. იმ დღეს თითქოს მეტი არაფერი მომხდარა.

მეორე დღეს მზიანი დილა გათენდა. მე და ჩემი ძმა სკოლაში წასასვლელად მოვემზადეთ, კიბე ჩავირბინეთ და რას ვხედავთ: ჩვენი სახლის წინ, აფთიაქის შესასვლელთან ოციოდე უდედმამო ბავშვი ჩამწკრივებულია. რიგში ჩემი თანაკლასელი გოგონა შევნიშნე, გამოველაპარაკე.

„არ ნახვიდე, რა“ – მთხოვა.

„აქ რას აკეთებ?“ – ვკითხე გაოცებულმა.

„რა ვიცი, რალაცები უნდა დაგვირიგონ“, – მხრები აიჩეჩა ჩემმა მეგობარმა. ამ დროს აფთიაქიდან დამლაგებელმა გამოიხედა, ბავშვებს ხელი დაუქნია და ოთხი გოგონა ერთად შეიყვანა აფთიაქში. ნეტავ, რა ხდება-მეთქი, ვიფიქრე და მეც შევყვევი. გოგონები იქ აღარ დამხვდნენ. ის იყო, უკან გამოსვლა დავაპირე, ისინიც გამოჩნდნენ – ახალ-ახალ კაბებში გამოპრანჭული გამოვიდნენ. სიხარულისგან გადავიკისკისე, ისეთი ლამაზები იყვნენ. სულ მალე გაიღია რიგი და ყველანი სკოლისკენ წავედით. შინ დავბრუნდი თუ არა, ისევ აფთიაქში შევყავი თავი. დარბაზის





შუაში, იატაკზე დაგდებული ფუთა, გუშინ რომ გაჭირვებით შემოიტანეს, სულ ჩაფუშულიყო. ნაპირზე კაბის სახელო ეკიდა, ძალიან ლამაზი, კუბოკრული – ნითელი და ნაცრისფერი უჯრედებით დამშვენებული. მივუახლოვდი, გამოვქაჩე სახელო, გამოვქაჩე და კაბა შემრჩა ხელში. სუნთქვა შემეკრა, ისე მომეწონა. კაბის სამხრეებს ორივე ხელი ჩავავლე და მკერდზე მივიფარე. აფთიაქის კედელზე ჩამოკიდებულ გრძელ სარკეში ჩავიხედე და, ღმერთო, როგორ მიხდებოდა ეს კაბა. სარკეში თავს რომ ვათვალიერებდი, მამაჩემი გამოჩნდა. ყურადღებით მიცქერდა. სწრაფად მოვტრიალდი: „შეხედე, მამა, რა ლამაზია!“ – შევძახე. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ჩემი მეგობარი გამოჩნდა.

„ოო, ბაბულია, – შეეგება მამა. – მობრძანდი, როგორა ხარ? ყელი აღარ გტკივა?“ – ჩაეკითხა.


ბაბულია ჩვენი ხშირი სტუმარი იყო, ამიტომ ჩვენები კარგად იცნობდნენ. რამდენიმე დღე იავადმყოფა. ეტყობა, მამა წამლებს უგზავნიდა და მისი ამბავი კარგად იცოდა.

„აი, ნახე, დოდომ რა ლამაზი კაბა ამოგირჩია“ – ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, მერე კი დამლაგებელს გასძახა. ისიც ხელად მოკუსკუსდა. მამამ ფუთიდან ფეხსაცმელი, რამდენიმე წინდა და საცვლები ამოალაგა, კიდევ ერთი კაბა დაამატა და ყველაფერი ქალს გადასცა. დამლაგებელმა ბაბულიას ხელი ჩაჰკიდა და ორივე თვალს მიეფარა. უკან დაბრუნებულ ბაბულიას ვერ იცნობდი, ისე გალამაზებულიყო. პრიალა ფეხსაცმელს დასქეროდა, კაბას ხელით ეალერსებოდა. „მშვიდობაში!“ – შევძახე და ტაში შემოვკარი, გადავეხვიე. გახარებულმა ბაბულიამ მადლობა გადაგვიხადა და ასკინკილით გაუდგა გზას. „გული ხომ არ დაგწყდა?“ – ჩამეკითხა მამა; სკამზე ჩამოჯდა, ხელი ჩამკიდა და თავისკენ მიმიზიდა. „შენ ხომ მამა გყავს, არა? – მკითხა, – ხომ იცი, ხვალ მამაშენი თბილისში მიდის, იქ აუცილებლად გიყიდის ულამაზეს ფეხსაცმელს და კაბას და საჩუქრად მოგიტანს; შენს მეგობარს კი მამა არა ჰყავს, ვერასოდეს კაბას ვერ უყიდის. მადლობელი ვარ შენი, ბაბულიას რომ მიულოცე ახალი ტანსაცმელი და, მშვიდობაშიო, დალოცე“.





ლემუზ ჩოფლიანი



სევდიანი გასეირნება...

- გამარჯობა ჩვენი მკითხველო!... დღეს ძალიან ცუდ ხასიათზე ვართ, არ ვიცით, ჩვენი გულის-ტკივილი ვის გავუზიაროთ, გაჩუმებაც არ შეგვიძლია, ვიღაცას ხომ უნდა ვუთხრათ ჩვენი დარდი თუ წუხილი...
- ის ჩვენი თანაკლასელია, ჩვენი თანატოლი, იცით, როგორ უყვარს სიცოცხლე, თავისი ამხანაგები, მასწავლებლები, ახლობლები, დები, ყველაზე მეტად კი მაინც თავისი დედიკო და მამიკო.
- ის ცდილობს ყველას მიანიჭოს სიხარული, კარგად სწავლობს, მიუხედავად ავადმყოფობისა, ისე როგორც ყველა ბავშვს მოსწონს თამაში, ხტუნვა, სირბილი, მაგრამ.....
- თქვენ წარმოიდგინეთ, ისე ლამაზად ხატავს, საოცარ ფერებში სიტბო და უსაზღვრო სიყვარული რომ იღვრება, თან იღუმბალი სევდა რომ გამოკრთის ფუნჯის მონასმიდან.
- იმ დღეს დამრიგებელმა ძველ თბილისში გაგვასეირნა. მასაც უნდოდა წამოსვლა, ძალიან უნდოდა, მაგრამ..... ამიტომ, ჩვენს პატარა გასეირნებასაც სევდა ახლდა. კიდევ ვერთობოდით, ვხალისობდით, ჩვეულებრივ ვცვლქობდით, სურათებსაც ვიღებდით, თუმცა.... ყველაფერს რაღაცა აკლდა. არ იყო ის სრული ბედნიერება. ვესტუმრეთ მეტეხს, სიონს, ანჩისხატს, უამრავი სანთელი დავანთეთ და უფალს მხოლოდ ერთი რამ შევთხოვეთ, ჩვენი თანატოლის სიცოცხლე, ყველაზე ძვირფასი რამ ადამიანისათვის...
ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის VI² – კლასის მოსწავლეები

დავეხმაროთ ლემუზ ჩოფლიანს

მიმღების ბანკი: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22; გაგარინისკ.29ა, თბილისი, 0160, საქართველო
 მიმღების დასახელება: ჩოფლიანი ლემუზ ანგარიშის ნომერი: GE43BG000000814228900
 საქველმოქმედო ტელეფონის ნომერი: 0901700132
 დარეკეთ მაგთის და ბილაინის ნომრებიდან.



გონოსევა დაბადებულ დღეს!

კონსტანტინე ლომთაძე



ნატალიკო
აბზიანძიძე

ელენე
გომიჩაიშვილი



ცოტნე
გვალთა



მთავარი რედაქტორი: ლოლო ნიჟნიაძე

ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2 ლარი